ფასი 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე

ოფიციალური გაზეთი

№ 16 ოიხშაბათი, 22 იანვარი, 1919 № 16

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ფასი: ხელის მოწერა—120 მ., ნახევარი წლით—60 მ., ერთი თვით—10 მ.

ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. საჭიროებულო განცხადებანი დადებულია ნიშნით. ერთ განცხადებაში შეთანხმებით. გამოდის ხელის მოწერა მიიღება მთავრობის 10—3 საათამდე. ბარონის ქ., № 6. ტელეფონი 1—82.

ქართველ მკითხველთა კავშირის სიბჭო გულითადის მწუხარებით აცხადებს, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მკითხველი და კავშირის წევრი

ვალერიან ფალიკაშვილი

დაკრძალვა ჩატარდება ხუთშაბათს, 23 იანვარს გურიაში ს. აკეთის მაცხოვრის ტაძარში სულ ცხედარი ქ. ტფილისში კი იმავე დღის დანიშნული პანაშვიდი კავშირის ბიბლიოთეკაში ნაშუადღევის 2 საათზე. 2—1 113

საქალაქო თეატრი

ოპერა.

ხუთშაბათს, იანვრის 22-ს, საბანეევის, იანსის, ზალკინდის, პოლიაგინის, ნიკოლსკის, მოლჩანოვის, დემიანენკოს, ჭრაგოვის მონაწილეობით

ფრა-დიავოლო

კომიკური ოპერა ორ მოქმედებად ფრანგულიდან.

სამშაბათს, იანვრის 24-ს, ბალეტის სპექტაკლი. პირველად ქართულ ენაზე „დემონი". მონაწილეობენ შუფანი, ხორინა, ინიგი, სარკიშევი, ისეკაძე, დემიანენკო, ჭრაბატოვი. შაბათს, იანვრის 25-ს, ბალეტის წევნენის I. ბალეტის დიდი დივერტისმენტი. II. ალეშინის, იანსის, ორკესტრის, იანვრის 26 ნაწილებით „ლოტოს პატივი". III. „ჯადოსნური ფლეიტა" კეიტანის: „ქატო, თხა, ცხვარი, შვიდი თხა, წითელი ქუდი და ქორწილი მოლლოსიანში", ბალეტის ორკესტრის გერგესის ბენეფისი სამშაბათს, მორიოვის, ხუთშაბათს, ნიკოლსკის, დემიანენკოს, კრაბატოვის მონაწილეობით „გოფმანის ზღაპრები". 115 1—1

სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა

აცხადებს, რომ სიღნაღის მაზრაში არის თავისუფალი ადგილები მასწავლებლისა შემდეგ სოფლებში: 1. ყოფილ სოფლისწყლო მ შეღწი ახლო შენში. 2. ცოდნის ქარში (ლარიონოვკა). 3. თიმერიანში (დაშკეცი). 4. ვარიის უბანში (ვარანცოვკა). მსურველებს შეუძლიანთ ამ ადგილებზე თხოვნა სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობაში. ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ გამგეობას გადაწყვეტილი აქვს გაათავისუფლოს მასწავლებლები იდიომატურობის გამო, ვინც ჯერ-ჯერობით მათ ნაცვლად ჯაჭოგრები სახალხო სამინისტროს შტატების მიხედვით ორმოცი გაიგზავნებიან. საჭიროში ითვლის ხელისაქმის მასწავლებელიც.

77 3—1 სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა.

ფინანსთა სამინისტრო

ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არა ჩვეულებრივი ხარჯების დაფარებისათვის საერთოდ, თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა, რესპუბლიკის ხაზინაში სულ 50.000.000 მანეთის 5 პროცენტიან ვალდებულების მოკლე ვადიან სახელმწიფო ბაზინის ვალდებულებათა ერთი წლის ვადით (სხვ იგი 15 იანვრამდი 1920 წ.)

ვალდებულება ფასიანია და დაყოფილია შემდეგ ჯამებად: 5.000 მან., 1.000 მ., 500 მ., 100 მ. და 25 მან.

თუ მსურველნი აღმოჩნდნენ, უსაბეჭდო ვალდებულებანი 5.000 მან. და 1.000 მანეთიანი შეიძლება გადაკეთდეს სახელობითი ვალდებულებათა, რაიც უნდა ჩაიწეროს ტფილისის ხაზინის დავთრებში.

სახელობით ვალდებულებათა საგანგებო განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადებისაგან.

ვალდებულება გაიცემა და მიიღება ხაზინაში ყოველგვარ შეზღუდვის გასაღების დასაფარავად და ყოველ საწინდარათაც.

ვალდებულების შეძენა შეიძლება მხოლოდ ნაღდ ფულით.

ვალდებულებათა შეძენა შეიძლება იანვრის 15-დან სახელმწიფო ბანკში, რესპუბლიკის ხაზინებში, ცალკე ბანკებში და საკრედიტო კოოპერატივებში. 49 9-5

შორაპნის სამაზრო ერობის კამეჩაობა

იწვევს შვიდ მომრიგებელ მოსამართლეს.

თვიური ჯამაგირი 1000 მან., თავმჯდომარეს 1,200 მან. თხოვნები და curriculum vitae უნდა გამოეგზავნონ გამგეობას ქალ. ზესტაფონში. 57 3—4

რაჭის სამაზრო საერობო გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ხსენებულ მაზრაში ასარჩევი ოთხი მომრიგებელი მოსამართლე. ვისაც სურთ არჩეული იქმნან განცხადება უნდა შემოეტანონ გამგეობის სახელზედ ქ. ონში. 52 4—4

ზუგდიდის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს ექვს მომრიგებელ მოსამართლეს

მაზრის უბნებისათვის.

თხოვნები და გავლილი სამსახურის სიტყვები უნდა წარმოდგენილ ზუგდიდში ერობის გამგეობის სახელობაზე იანვრის დამლევამდე. 68 9—2

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

ტფილისის გუბერნიის კომისარისა.

28 დეკემბერი, 1918 წ.

№ 339.

მიევლინება: ბორჩალოს მაზრის, ლორის უბნის კომისარი და მილიციის უფროსი მოქალაქე ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაიშვილი იმავე მაზრის ეკატერინოვის უბნის სამმართველოში 1918 წ. 27 დეკემბრიდან.

№ 340.

დანიშნება: პოდპორუჩიკი იოსებ მაჭასიძე ძე მახარაძე ტფილისის მაზრის, ქალაქ გარე უბნის კომისრის თანამდებობაზე, 18 დეკემბრიდან 1918 წ.

№ 341.

დათხოვნილია: პოდპორუჩიკი იოსებ მაჭასიძე ძე მახარაძე ტფილისის მაზრის, ქალაქ გარე უბნის კომისრის თანამდებობიდან, 28 დეკემბრიდან 1918 წ.

№ 342.

დანიშნება: მოქალაქე ალექსანდრე გფრომის ძე ხომიზაშვილი ტფილისის მაზრის, ქალაქ გარე უბნის კომისარის თანამდებობაზე, 28 დეკემბრიდან 1918 წ.

4 იანვარი, 1919 წ.

№ 1.

დანიშნება მოქალაქე პანტელეიმონ გრისტოს ძე ჭყონია ბორჩალოს მაზრის, თრიალეთის უბნის მილიციის უფროსის და უბნის კომისრის თანამდებობაზე.

№ 2.

მიევლინება: მოქალაქე გიორგი ალექსანდრეს ძე მირზაშვილი რწმუნებულად ბორჩალოს მაზრაში საქმეთა მოსაწესრიგებლად და მაზრის სახელმძღვანელოდ, სანამ ტფილისიდან არ დაბრუნდება მაზრის კომისარი ვ. მ. ლანდია.

№ 3.

დანიშნება: ტფილისის გუბერნიის სამმართველოს საქმის მწარმოებლის თანამშრომის თანამდებობაზე მოქალაქე ანტონინა ვალერიანეს ასული კალანინა, მიცემულებით ჩემს კანცელარიაში წერილობითი საქმეებზე სამუშაოთ, ამა რიცხვიდან.

გუბერნიის კომისარის თანამდებობის აღმასრულებელი კალანდარიშვილი.

19 იანვარი 1919 წ.

№ 5.

საქმეთა სანახავრო განყოფილების უფროსი გვამის მ. ო. ზანდუკელის ავადმყოფობის გამო მისი თანაშემწეზე გვამი ი. ს. ელიაშვილი ინიშნება იმავე განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებლათ.

ამავე განყოფილების სიპლიდმიო ნაწილის გამგე გვამი ქ. გ. მელქაგია ინიშნება სანქციონ-სანიტარო განყოფილების უფროსის თანაშემწეს თანამდებობის აღმასრულებლად.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოვ. გ. მახარაძე.

არჩევნების გარშემო

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან სიბჭოს არჩევნებისათვის.

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომელნიც (ცხოვრობენ ტფილისში, ან აქვთ აქ მინაური მოწყობილება, ან დაკავშირებული არიან ქალაქთან რაიმე განსაზღვრული საქმით, რომ ტფილისის ქალაქის სიბჭოს წევრებად ამორჩეულ იქნენ სულ 72 შემდეგნაირად და საყოველთაოდ განსახილველად წარდგენილი იქნებიან მიცდინარე იანვრის 19, 20, 21, 22 და 23 ს დილის 9 საათიდან—საღამოს 9 საათამდე შემდეგ ადგილებში:

1	საარჩევნო	უბ.	ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებელი, ოლღის ქუჩა, 52, სახლი მარაბლისა.
2	„	„	პირველი ვაჟთა გიმნაზია, გოლოვინის პრ. რუსთველის ქ.
3	„	„	მესამე ქალთა გიმნაზია, ბებუთოვის ქუჩა;
4	„	„	მანთაშევის ქარვასლა, სომხის ბაზარი № 62;
5	„	„	ნადეჟდინის თავშესაფარი;
6	„	„	პუშჩინის ქალაქის სასწავლებელი, ვორონცოვის ქუჩა;
7	„	„	ავლაბრის კლუბი, ზამთრის შენობა ავლაბრის კლუბი;
8	„	„	პირველი საკომერციო სასწავლებელი;
9	„	„	ქალაქის სასწავლებელი პეტრე დიდის სახელობა, ჩერქეზიშვილის ქუჩა 29.
10	„	„	სახალხო სახლი შუბალაშვილებისა;
11	„	„	ნაძალადევის თეატრი, ჩერქეზიშვილის ქუჩა;
12	„	„	რკინის გზის სასწავლებელი;
13	„	„	სახერხალოს კომისარიატი.

მოქალაქენი, რომელნიც ზოისუკეთებენ გაიარონ ზრდილ ოსანი ჩერქეზიშვილის საარჩევნო სიაში,

მოქალაქენო! ტფილისის საქალაქო არჩევნები ოქ თებერვალს შესდგება

ვინც [illegible]ბა გაპარჩენილ ია, მან თვითონ უნდა მიაკითხოს საარჩევნო ბიუროში (სომხის ბაზარი № 62, თამაშვილის ქარვასლა) და ჩაწერინოს თავი

მოქალაქენო! არც ერთი ხმა არ უნდა დაჰკარგოთ!

უნდა მიმართონ ზემოთ ნახსენებ ადგილებში, სადაც იქნებიან განსაკუთრებული პირები სიების ნაკლულობის და უსრულობის შესახებ განცხადებით და სარიგებით. განცხადებები და სარიგები შეიძლება, როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად; განცხადებებს და სარიგებს უნდა ახლდეს საბუთად ქალაქების რესპუბლიკის მოქალაქეობის დამმოწმებელი (პასპორტი, მეტრიკა, ნამსახურობის სია თავისი ან მამისა) ქართველები არ არიან ქალდებულნი წარმოადგინონ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, გარდა მეტრიკისა იმ შემთხვევაში, როცა მომჩივანი გარეგანის შეხედულობით 20 წლისაზე ნაკლებნი არიან.

ყველა განცხადებებს და სარიგებს ქალაქის გამგეობა განიხილავს 24 და 25 იანვარს, თუ ამ ორი დღის განმავლობაში მოჩივანი არ მიუვიდა ქალაქის გამგეობისაგან პასუხი სარიგისა, ან მოუვიდა უარი, მაშ აქვთ უფლება ორი დღის განმავლობაში, ე. ი. 26 და 27 ამა იანვარს შეიტანონ სარიგი სააღქმო სასამართლოს დამნიშნავებელ ადგილობრივ, რომელიც ქალდებულია ორი დღის განმავლობაშივე, ე. ი. 28 და 29 იანვარს განიხილოს ყველ სასამართლოში შესული სარიგები.

რესპუბლიკის მოქალაქენო, იცოდეთ, რომ, ვინც სიაში არ იქნება შეტანილი, მას ხმის უფლება არა აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ეწერეთ ისარგებლეთ კანონიერი ვადით და განაცხადეთ სარაიონო ბიუროებში გამოტუებების და სიების ნაკლულოვანების შესახებ, რომ შეტანილი იქნეთ სიებში და არ დაკარგოთ ხმა.

მოქალაქენო! საქართველოს პარლამენტის დადგენილებით საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები უნდა მოხდეს 14—16 თებერვალს. დამფუძნებელ კრების არჩევნები ტფილისში მოხდება ამომჩრეველთა იმავე სიებით, რომელებითაც მოხდეს ქალაქის ხმოსნების არჩევნები. ახალი საარჩევნო სიები დამფუძნებელ კრებისათვის არ შესდგება. საქმაღლო არჩევნებისათვის ამომჩრეველთა სიები სდგება და ამ სიებით უნდა მოხდეს ორი ფრთად ნ ხმიშენელოვანები არჩევნები: ქალაქის საბჭოსი და დამფუძნებელ კრებისა. ესენი სიებში არ იქნება შეტანილი, მას არა აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა არცერთს ამ არჩევნებში.

მოქალაქენო! შეასრულეთ თქვენი მოვალეობა და ვინც გამოტოვებულია სიებში, ეწერეთ შეიატანოთ განცხადება სარაიონო ბიუროში, რომ დამატებით ჩაეწეროთ და ხმა არ დაჰკარგოთ.

ს ი ა

ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნების კანდიდატების, წარმოყენებული საქართველოს სოციალის-ტ-რევოლიუციონერთა პარტიის ტფილისის კომიტეტისაგან.

1) გოგებია ივანე პავლეს ძე.
2) ნათაძე გრიგოლ იასონის ძე.
3) წერკეზიშვილი ივანე ლევანის ძე.
4) მამამთავრიშვილი გრიგოლ დავითის ძე.
5) კაკაბაძე ბაჩალონ ილიას ძე.
6) ჩიგოკიძე ნიკოლოზ ზაურის ძე.
7) ჩერქეზიშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე.
8) ზარიძე სონა გაბრიელის ასული.
9) ჩარქვიანი პეტრე მიხეილის ძე.
10) ზანდუკელი მიხეილ ზურაბის ძე.
11) ჩხეიძე მარიამ ილიას ასული.
12) გოგიბაშვილი მიხა თედოს ძე.
13) მუმლაძე გიორგი იესეს ძე.
14) პუშკოვი ივანე სტეფანეს ძე.
15) ტურაბელიძე ვასილ გიორგის ძე.
16) სანაკიძე ვალაგოშეევსა ოლღა იესეს ასული.
17) დავიდოვი გიორგი ანდრიას ძე.
18) ჯორენელიანცი გრიგოლა ბერიევის ძე.
19) ლეუბოვი გასპარ ალექსანდრეს. ძე.
20) ნაზუკოიი შაჭრო გიორგის ძე.

ქ უ თ ა ი ს ი.

ქალაქის საბჭოს არჩევნების შესახებ.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის ამორჩეველთა სია უკვე შედგენილია. იმ პირთ, ვინც ამ სიაში რაიმე მიზეზით არაა შეტანილი, შეუძლიათ განცხადება შემოიტანონ ქალაქის გამგეობაში 17 იანვრიდან 21-მდი და იხილონ დამატებით სიაში შეტანა. ქუთაისის ქალაქის გამგეობა.

დამფუძნებელი კრების არჩევნების გარშემო.

ქუთაისის, ბაღდადის, სენრის, სამტრედიის და ტყიბულის რაიონში უკვე შესდგა საზოგადოებისა და სოფლის საარჩევნო კომისიები. ხალხი ძლიერ აღფრთოვანებით ხვდება არჩევნების სამზადისს. ტატაზა, რომ ხალხში ძლიერია აგიტირება დამფუძნებელ კრების არჩევნებისადმი.

ინსტრუქტორების დაგზავნა.

ბაღდადის რაიონში დამფუძნებელ კრების არჩევნების ინსტრუქტორად დანიშნა ანანია გოგუაძე, ტყიბულის რაიონში — ე. წულაძე.

საარჩევნო კომისიები.

სამაზრო საარჩევნო კომისიას ინიციატივით 16 იანვარს ხონში შესდგა კრება ხონის რაიონის საზოგადოებების კომისარების, მწერლების და სოფლის აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენელთა. კრებაზე მოწვეული იყენენ საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლენი. ამ კრებაზე დამფუძნებელ კრების მომწვევ საარჩევნო ორგანიზაციის მოწყობაზე სამხრო საარჩევნო კომისიის რწუნებები მოხსენება გააკეთა ილია ბიბლაძემ. კრებამ დაადგინა ხონის რაიონის ყველა სამუდაოებში საჩქარიო მიეწყოს როგორც. საზოგადოებმა აგრეთვე სოფლო საარჩევნო კომისიები და საარჩევნო უბნები. აქ ოფიციალურათ გამოქვეყნდეს 20 იანვარს (ახალი სტილით).

ხონში.

დამფუძნებელი კრების სიების შედგენა დასრულდა, სიები გამოცხადდა დღეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

შავი ხახედი.

ყვირილიდან ერონის თემებდუმარისაგან წინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი ტელეგრამა მიიღო: შორახნის მაზრაში ისპანტა შესცვალა შავმა სახადმა. ეპიდემია სასტიკ ხასიათს ღებულობს. სასწრაფოდ საჭიროა დეზენფექციო ფულითა და მედიკამენტებით.

ერობის შემოღების შემდეგ.

თანახმათ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებისა საქართველოში ერობის შემოღებ ინსტრუქტორის კანცელარია 1 ამა თებერვლიდან გადქმებულ იქნება. ყველა მიხედენი ამ კანცელარიისა დატოვებულ იქნებიან შტატ გარეშე სარეთო წესით.

გზათა სამინისტროში

სადგურების მიღება.

ს. სადაბლოდ ნ. რწუნებული გვიამიაგა დეპეშით ატყობინებს გზათა სამინისტროს: სად. ალავერდიდან ინგლისის წარმომადგენელმა აცნობა, რომ საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის მფლებები უნდა დაიკავონ ნიტროგენ ზონის სადგურით. 20 იანვრიდან შეუდგინოთ სადგურების მიღებას სად. კობურიდან. გთხოვთ პირველ მატარებლით გამოგზავნოთ 8 სათადარიგო აგენტი და 12 მეცხრე.

რკინის გზის მილიციაში.

ნავთლუღიდან სადგურის უფროსი იაშვილი ატყობინებს გზათა მინისტრს შემდეგს: „განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში სამწუხაროდ ჩვენსა მილიციაში ვახშირებს ისეთი ელემენტები, რომელთა პოლიტიკური ფიზიონომია ფრიად საეჭვოაო.

ჩვენი რკინის გზის აგენტის შესახებ.

ადერბეიჯანის რკინის გზის სამმართველომ აცნობა საქართველოს რესპუბლიკის გზათა სამინისტროს, რომ საქართველოს რკინის გზები ანგლიის საქართველოს რესპუბლიკის გზათა სამინისტროს, რომ საქართველოს რკინის გზებს ანგლიის დღემდე არ ჩასულა სად. ფოილიში, რას გამო თანამშრომლობა მყლწყრიალობისა, გადასაცემი ფურცლები და გასაცნელი ბუტები ხელმოწერილი ჩრდა საქართველოს რკინის გზის აგენტის მიერ. ამისათვის ადგილობრივნი რკინის გზის სამმართველო სთხოვს გზათა სამინისტროს განკარგულება მოახდინოს ამ აგენტის დროზე ჩასვლის შესახებ სად. ფოილიში, სადაც მას მეგობრი საცხოვრებელი ბინა უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხერხდება საქონლის მიღება საქართველოს რკინის გზებზე გადასახიდათო.

სახალხო განათლების სამინისტროში.

დანიშვნა.

ტფ. სოციალ-ბ-ნაური გიმნაზიის დირექტორად ყოფილია. ნ. მიქაბერიძე განიღებს სამინისტროს კანცელარიის ვიცე-დირექტორად დაინიშნა.

სამინისტროს შეამდგომლობა.

განათლების სამინისტრო შეამდგომლობს მთავრობის წინაშე გადასდონ მის განკარგულებაში 30000 მან. მოსამსახურეთა უბედური შემთხვევის დროს დასმარებისათვის.

ახალციხისათვის.

ამ დღეებში სახალხო განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ვიმეზავრება ახალციხეში, რომ გამოარკვიოს შეიძლება თუ არა ამ სამინისტროს წყნეში ახალციხეში საშუალო სასწავლებლის გახსნა.

საშუალო სკოლების მასწავლებლები.

19 თებერვალს შესდგა ქ. ტფილისის საშუალო სკოლების ქართველ მოსწავლეთა კრება. კრების თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ნ. ს. ლუღაძე. მდივნად მ. მიქაბერიძე. კრებამ წამოაყენა საკითხი: საჭიროა თუ არა დაარსდეს საშუალო სკოლის მასწავლებელთა კავშირი. ამ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ვ. ა. ბუკუკნიძემ. შემდეგ მოხსენებით გამოვიდა გრ. ლორთქიფანიძე. კამათის შემდეგ მიიღეს რეზოლუციები:

1. დაარსდეს საშუალო სკოლის მასწავლებელთა კავშირი. 2. დაარსდეს ტფ. საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირი, სადაც საქმის წარმოება, სწავ-ბაასი და კამათი სახელმწიფო ენაზე იყოს სახელმწიფო ენაზე. 3. შეტანილ იქმნას კავშირის წესდებაში, რომ მასწავლებელთა პროფესიონალური კავშირში საქმის წარმოება სწავ-ბაასი და კამათი სახელმწიფო ენაზე უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე. ეს რეზოლუციები მიღებულ იქმნა ერთ ხმით. ამავე კრებაზე არჩეულ იქმნა დროებითი კომისია გრ. ლორთქიფანიძის, ვ. ბუკუკანაძის, ი. ლუკაძის, ფ. მგელაძის და ქ. ცოცქიფელისაგან, რომელსაც დაევალებული აქვს შეადგინოს კავშირის წესდება და ახლო მომავალში მოიწვიოს ტფ. საშუალო სკოლების მასწავლებელთა საზოგადო კრება.

საგანგებო-გუბერნატორო

თანახმად ტფ. გენ. გუბერნატორის ბ. მოლაკელიძის სავალდებულო დადგენილებისა 1. ნაცვლად გამოცემულ სავალდებულო დადგენილებისა ამ წლის 15 იანვრიდან ჩერ მიღებული დართულია ქუჩებში ყოველ გვარი ნაგვის, ნაგავის და სხვა ამგვარი ადგილები უნდა დაიცლეს აუცილებლივ ღამის სრულ 1 საათზე.

—

ტფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ნება დართულია სარდაფიდან ღვინის თავისუფალი გაყიდვა, ხოლო დალევა სარდაფში კი კვლავ აღკრძალულია.

საქართველოს პარლამენტი

იანვრის 18 სხდომა.

თავმჯდომარეობს ქუთაისელი მაჟაიშვილი.

კრება იწყება 12 ს. 50 წ.

გაგრძელება მსჯელობისა აგრარულ კანონ-პროექტის შესახებ.

გ. შენგელია. (ს. რ.) ორატორი აღნიშნავს, რომ პარლამენტის წინაშე სდგას უდიდესი სოციალური პრობლემა, რომელიც ვერ გადაჭრა თებერვლის რევოლუციამ და რომელიც დაამძიმებინა საფრანგეთის რევოლუციონერ ორატორი მოციწოდებს პარლამენტს სერიოზულად მოეკიდოს პრობლემის გადაწყვეტას. წარმოდგენილი კანონ-პროექტი აშენებულია იმ მტკიცებაზე, რომ გლეხი არის ფანატიკოსი კერძო საკუთრებისა. მაგრამ მიწები ჩამოგორდა ისე, რომ არა ჭრილ მესაკუთრე გლეხებს, ასე რომ ამ მხრივ მათ არ შეეძინებათ. მიწები ხომ მთავრობით მსხვილ მესაკუთრეთ და იმ მიწებს მფლობელობას უნდა მიეცეთ ისეთი ხალხ შენონილი ფორმა, რომელიც გვიჩვენებდეს სოციალურ ურთიერთობათა დღევანდელ ფორმებს. ამის გარდა თვით მტკიცება გლეხთა ფანატიზმზე არ არის ჭეშმარიტი და არ შეიფერება გლეხი ნამდვილ სულიერ განწყობილებას.

რუსეთში გლეხთა ყრილობებმა მოითხოვეს მიწის სოციალიზაცია. კავკასიაში სოციალ-დემოკრატიამ გლეხთა ყრილობაზე გაიყვანა მიწის ნაციონალიზაცია და ეი. აქედან სდგას კითხვა. რაღაც გამოსახატება ეს ფანატიზმის შემცდარი ალრეთვე შემდეგი მთავარი ფაქტები გლეხთა კანონ პროექტისა, რომელიც ამტკიცებს, რომ თუ გლეხებს მიწები კერძო საკუთრებათ დაფრიგეთ, მაშინ ისინი მტკიცედ დაიცავენ რესპუბლიკასა. მიწების ყიდვა ხდება არაფერის წარმოდგენის. სოფლის ცხოვრებაში ახალ წყაროებს გლეხები მაშინ დაიცავენ, თუ მიიღებენ ახალ უფლებებს. ამ უფლებებს კი მიეცემთან მაშინ, თუ მიწას უფლებას კი მიეცემთან მაშინ, თუ მიწას უფლება ექნება ან ეს კანონ პროექტი ჰქმნის გლეხებს ახალ სახელმწიფოს ინტერესთა წინააღმდეგ. ეს ბაზას, რადგან სახელმწიფო დაინტერესებულია ბაზას, რადგან სახელმწიფო დაინტერესებულია რომ მიწები ძვირად გაჰყიდოს, ხოლო გლეხები დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ მიწები იაფად აყიდონ.

ულიანოვ ა აგრეთვე, ფინანსიური თვალსაზრისი კანონ-პროექტისა. ამ კანონ-პროექტის გატარებას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები და მარტო გლეხებმა რად უნდა იხადონ სახელმწიფოს ხარჯები? მერე, განა ჯაბანები ამოსწრობად საკმარისი იქნება ის რამდენიმე მილიონი, რომლის ამდენიც აქეს მთავარ-ბას ამ კანონ პროექტით?

კანონ-პროექტი ხელს უშლის წვიდა კაპიტალისტურ წესწყობილების ჩანაგვითარებას რადგანაც ხელს უწყობს წვრილ საკუთრების ერთი სტატუსი, აქ არც სოციალიზმი ფიქრობს არც კაპიტალიზმი. ესაა ერთად ერთი დასკვნა, რომელის გამოყვანა შეიძლება ამ კანონ-პროექტიდან. ამიტომ იგი უტოპიურია, მაგრამ ეს არ არის გარკვეული, რადგან სოციალ-დემოკრატები აგრარულ საკითხებში მუდამ უტოპისტები იყვნენ. პირველად ლაპარაკობ

ᲛᲜᲝᲚᲝᲚᲝ 22 ᲓᲐ 23 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲨᲔᲒᲘᲛᲚᲘᲐᲗ ᲙᲐᲓᲔᲓᲘ, ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲜᲝ, ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲡᲬᲝᲠᲝᲗ ᲡᲘᲔᲑᲘ,

ეწერეთ, მოქალაქენო და საარჩევნო უბნებში გაიგეთ შეტანილი ხართ სიაში თუ არა.

ᲐᲠ ᲓᲐᲰᲙᲐᲠᲒᲝᲗ ᲮᲛᲐ, ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲜᲝ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ 2 ᲗᲔᲑᲔᲠᲕ. ᲛᲬᲔᲓᲔᲑᲐ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲔᲒᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲔᲓᲐ.

ᲐᲠ ᲓᲐᲰᲙᲐᲠᲒᲝᲗ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ! ᲐᲠ ᲓᲐᲰᲙᲐᲠᲒᲝᲗ ᲮᲛᲐ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქენო! 14, 15 და 16 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებია! ემზადეთ არჩევნებისთვის!

ლნენ ჩამონაჭრებზე. შემდეგ მიიღეს მფლობელობაში ეკლეი კერძო საკუთრების პრინციპს ლიარებენ. ასეთი გეოლოგია იქმნება თუ მიიყვანს ჩვენ სოციალ დემოკრატებს, რომ მალე ნაციონალ-დემოკრატები № 2 (ტაში ს.-რევ. მხრიდან).

ს ხ ვ ნ ო ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა (ს.-ფ.). მოქალაქენო! ისტორიამ საქართველოს სოციალისტურ პარტიებში დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა. სოციალისტურ პარტიებმა იწყეს საქართველოზე ორმხრივ ბრძოლა. პირუთვნელი ისტორია დაიფასებს მათ დვაწლს. მაგრამ არ ეკუთვნის დავიწყებას, რომ იქნება სახელმწიფო ხელისუფლება ორგანიზებულ ბურჟუაზიული წესწყობილება მიეკოს.

ამიტომ შესაძლოა მხოლოდ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შექმნა.

ეს ასეა, მაგრამ სოციალისტებმა არასოდეს არ უნდა დავიწყნოს სოციალისტური იდეალი და გზები. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში ის ბანძაყვანი, რომელნიც გვიიბლოვებენ სოციალიზმს, ამ მხრივ წარმოდგენილი კანონ-პროექტები მოელენებით. ჩვენი ფრაქცია წინააღმდეგია ამ კანონ-პროექტისა და წინააღმდეგია იმ მიზნის რეფორმის დაცდის საფუძველად შეიდგინ მეხლები:

1. ჯ ო ე ლ ი ჭ ი ა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიდგინს ხალხის საერთო კუთვნილებაში.

2. მიწა უნდა ჩამოერთვას უფასოდ ყველას, ვინც თვითონ არ შეშრომის მიწაზე.

3. წვრილ მესაკუთრეს, რომელიც თვითონ ან თავის ოჯახის შეწევრებით მეშრომს თავის მიწაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოერთმევა მიწა საერთო კუთვნილებაში გადასაცემად, თუ ამას თანხმობას განაცხადებს.

4. საქართველოს რესპუბლიკის სახელოვნებო ფონდა-გადიდება აკრძალულია.

5. ხალხის საერთო კუთვნილების მიწის სარგებლობა შეუძლიან მხოლოდ მიწის მშრომელს, საქართველოს მოქალაქეს და ყველას თანასწორი უფლება ეკუთვნის განურჩევლად ეროვნების, სქესისა წოდებისა და სქესისა.

6. მიწა უნდა მიეცეს მიწის მუშებს შრომისა და საჭიროების ნორმით ადგილობრივის პირობების მიხედვით—სასარგებლოთ და უფასოთ.

7. საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიწა-წყალი გადადის სახელმწიფოს სრულს განკარგულებაში, დანარჩენი მიწის განმკარგულებელია ადგილობრივი მსხვილი და წვრილი თვითმართველობა და სახელმწიფოს ჩრდილოეთის ზედამხედველობისა და მოწესრიგების უფლება.

8. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მიწის შეცვლებითის ამხანაგობათა, კოოპერატივებს და კიდევ რაიმის დაარსებას და განსაკუთრებული დახმარება უნდა აღმოუჩინოს იმ ასოციაციებს, რომელნიც მიწას ხელოვნთ შრომით დაამუშავებენ და ნაყოფს შრომის მიხედვით განაწილებენ.

9. ვისაც მიწის განსაწოგადოებით მოესპობა ყოველი წყალო ცხოვრებისა, სახელმწიფო ავტომუნის დახმარებას.

ა. ღ ლ ო ნ ტ ი (ს.-ფ.). ორატორი გამოცდილ ვრცელი მსაჯელობით, რომელთაც ასაბუთებს თავის აზრს საქართველოს ეკონომიური ცხოვრების შესახებ. ის აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი კანონ-პროექტი მიუღებელი და უსამართლო, ვინაიდგან ის არ ეგუება საქართველოს ეკონომიური ცხოვრების განვითარებას. დასასრულო ორატორი წინააღდეგობას უწევს ეს ფიდი საკითხი გადაცანილ იქნეს თვით გლეხებში განსახილველად დამფუძნებელ კრებაზე.

ანტონოვისაგან წორამეული ნივთები და ფული მასვე დაუბრუნდა. სიმონიანის ფული მხოლოდ ნაწილი იპოვნეს.

მილიციონერთა დაპატიმრება.

სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა დაპატიმრა და სამართალში მისცა: მეოთხე უბნის კომისრის თანაშემწე ბესარიონ ინაშვილი, მილიციონერი ხარიტონ მახარაძე, დავით შარაშიძე, სოლ. ცოცანაშვილი, აკაკი აბულაძე. ამ ოთხ უკანასკნელს მეკრთალობა ბრალდება.

სროკა.

(საქართველოს დეპ. საგანგებო).

მემარჯვენე ელემენტები აქ იდგენენ ნაციონალურ საბჭოს. დემოკრატია არ მონაწილეობს. სოციალ ოლქის მობალისეთა ყრილი მიერ დაბერილი ადგილებიდან საქართველოს მთავრობის და ინგოილის მესნის სახელზე მოდის პეტიციები დაიცვან მცხოვრებნი მთხალისეთა ღელეზ-ახსნლობისაგან. სოციის მუშაობა კვლავ გამოსულა ბზრი დაიხურის ყველა ნაციონალური საბჭოები.

ეკატერინოდარში მლიერ გავრცელებულია ტიფი. ექიიმებიან რამოდენიმე ათასი კაცი მსხვერპლი. ფიქრობენ დაითხოვონ. მოწოდენი და დახურონ გასახთობი ადგილები. ექიიმებია გავრცელებულია ფრონტზე და სოფლებში. განსაკუთრებით ძლიერია სტეროპლოში. 55 აქიიმიდან 18 ავათაა ტიფით. სანტარები გაიქნენ. ავადმყოფობა განსაკუთრებით მძიმეა ჯარებში ლაზარეთებში, სადაც დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის კაცებია მოთავსებული.

ორშაბათს, 20 იანვარს, ალ. ს. ლომთათიძის თავმჯდომარეობით ქალაქის საბჭოს მორიგი კრება შედგა.

სხდომის წინათ საბჭოს ფრაქციებს თათბირი ჰქონდათ.

მრავალი მოქალაქენი, რომელნიც შეკრებილ იყვნენ საბჭოს კრებაზე დასასწრებლათ სხვ. ხმოსნებთან ერთად, საბჭოს დარბაზში მოაკრობის თავმჯდომარის ხმოსნად ბ ნ ნოე ჟორდანიას შესვლას დიდის ტაშის კვრით მიეგებნენ.

თავმჯდომარემ საბჭოს მოახსენა ქალაქის მოურავის ვანცვალების ქალაქის გამგეობის გადადგომის შესახებ.

სოც.-დემ. ფრაქციამ წინადადება შემოიტანა, ნდობის და უნდობლობის საკითხზე ფიცარულ ხმის მიცემის ხათხოვნის ქალაქის გამგეობას თავის ალაპს დარჩეს და განაგრძოს მოქმედება ახალ არჩევნებამდე.

ხმ. კალიაშენი (ს. რ.) ამბობს, რომ ეხლა დრო არ არის ნდობის საკითხზე ლაპარაკისა. ეს საკითხი გაირჩევა მომავალ არჩევნებზე. მხოლოდ სოც.-რევ. ფრაქციას მხედველობაში ჰქონდა და აქვს ქალაქის გამგეობის ქალაქის საბჭოსგან წართმევა არჩევნების შოსაწყობებელ მოქმედებაში უნდობლობის გამოცხადება.

წინადადება სოც.-დემ. ფრაქციისა მიღებულ იქნა სოც.-დემ., ნაც.-დემ., რუს. სოც.-დემ., მუშათა პარტიის, ხოც.-ფედ., მაჰმადიანთა ფრაქციების ხმებით სოც.-რევ. და კადეტების ხმების წინააღმდეგ. დაწნაკეცანები ამ დღის დარბაზში არ იყვნენ.

წესრიგისამებრ თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა ამოიჩიონ დამფუძნებელ კრების საქართველო საარჩევნო კომისია. ფრაქციები ახახელობენ კანდიდატებს.

ხმ. გოთუა (ნაც.-დემ.) წინადადება შეიქმა, რომ საბჭოებ არჩევნების კომისიაში ყველა ფრაქციას პყავდეს თავისი წარმომადგენელი.

ხმ. არსენიძე (სოც.-დემ.) აღიარებს, რომ წვრილ ფრაქციების წარმომადგენელთა დამფუძნებელ კრების საქართველო საარჩევნო კომისიაში მონაწილეობა მეტად.

ამ კომისიაში საბჭომ ამოირჩია ხმოსნები: სოც. დემ. ჯახიაძი, ზახვიაძე, ნ. ჩოხია და კოვალიოვი, რუს. სოც.-დემ. შიშ. პარტიიდან ხმ. ფანჩულიძე არჩენიან და ხმ. ბროყეი, დაწნაკეცანები არჩენიან და ხმ. გარიანი, ნაც.-დემ. გოთუა და სოც.-ფედ. ბარათაშვილი.

ამის შემდეგ ქალაქის მოურავის ამხანაგმა ბ. გ. კონდეევა საბჭოს ჰოახსენა ტრამვაის მოსახსნელობათა მოთხოვნილება ჯამაგირის მუშაობის შესახებ. იგინი მოითხოვენ 250 მან. მომატებას თვეობაზე. ეხლა მუშაობენ 4,194.638 მან. რაც წელიწადში შეადგენს 50,332.656 მანეთს. ამ ფულის მისაღებად საჭიროა ბილეთების ფასის აწევა 5 კაპიკიდან 7 კაპიკამდე.

ხმ. ბაქრაძე (ნაც.-დემ.) ამბობს, რომ ეს საკითხი ჯერ არ არის დამწიფებული. ის ჯერ ადრეა. ამ საკითხის გადაწყვეტა ეკუთვნის ქალაქის ახალ საბჭოს

○ სოფ. ოქაში გაძარცვეს ილმარინენის ძე ტუნტულა და წაართვეს 650 მან. და ნიგოზები 1991 წლისა. გაძარცვა ბრალდება ამავე სოფლის ქურდების სერგო მიხეილის ძე ბაბუაძეს, რომელიც დაპატიმრებული იქნა და გადაეცა ბაღდადის რაიონის ჯინოძე-ბერულის სათანადო ორგანოს.

○ ამ წუანასწინელ ხანებში საღორიის რაიონში ღვინის გამხდარა ქორთალი. ისპარიენ ძროხებს, ცხვრებს, ქათმებს და სხვას. საქიროა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება. ამაზე რაიონში მძიგნარეს საგანგებო ჯირი, რაშიც ჯერ ჯერობით საქმითი ამსხვერპლა საქონელი. საქიროა ამასაც მიექცეს ყურადღება.

○ ქ. სამტრედიის თვითმმართველობასთან არსებულ მეორმარი დამხმარე კომიტეტმა საზოგადოთა გაეზიანა ფორნტიგ ზემოთარეს კომიტეტში 11,500 მან. 40 კ. სიხუსტეში.

○ სამთო უწყების საარჩენო ნაწილის ამრჩევლების აღწერა დამთავრდა. ხოლო სამთო უწყების საარჩენო ნაწილში საარჩენო პირად მარჩიებში ჩატანილია 8752 ამრჩეველი. თუ ვინმე გამორჩით და არა ხართ—შეიტყობით ანუ რაიმე მიზეზით შეტანილი საარჩენო ბარათში დაუკმენებლივ გამოცხადდით ქალაქის თვითმმართველობაში (ტარიგაში) და მოითხოვეთ ჩაგიტანონ საარჩენო სიაში.

○ შუთაისის სახალხო გვართდა 13. იანვარს ჩამოვიდა ფორნტიდან ქუთაისში, ყველა გვარდიელ თავს ჯანსალად გრძნობს-

ძროხიკა

○ დიდ მადლობას ვუხდით ბორჯომის სავეიდწოფოს ექიმს სიმონ პლატონის ძე ჯანდილაკს, რომელმაც სიკვდილს გადამარჩინა. ჯარისკაცი ვასილ ბარიაე.

○ დღეს, 22 იანვარს, სღამოს 6 სათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1) სტრ. ეროფეოლანისა „ქართული შწერლობის ისტორია“ 2) აღ. ფუნქციანი „ხელოვნების წარმოშობა“.

○ ტფილისის ქალაქის ტრამვაის მოსამსახურეთა პროფკავშირთა კავშირის გამგეობამ თავის მორიგ კრებაზე 1919 წ. იანვრის 20-ს განიხილა საკითხი ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის კომიტეტის მიერ გამოტანილი პროტესტისა ქალაქის საბჭოს და დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ და დაადგინა;

1. გამოთქვას ენერგიული პროტესტი ასეთ ანტიდემოკრატიულ გამოსვლის და ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის ღმასხურებულ კომიტეტის რეზოლიუციის წინააღმდეგ.

2. შესწავლილ ყოველ გვარი კავშირი ქალაქის თვითმმართველობის კავშირის ღმასხურებულ კომიტეტთან და არ გაუწიონ მას ანგარიში, როგორც ბურჟუაზიული მოწყობილს და კლასობრივ თვალსაზრისზე არ მდგომს, მანამ, სანამ ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა დემოკრატიული ნაწილი არ შეიდგენს წინანდ დემოკრატიულ პროფესიონალურ კავშირს.

3. ეთხოვოს ქალაქის გამგეობას არ დაუკავშიროს ქალაქის მოსამსახურეთა ორგანიზებულ კომიტეტს ის საკითხები, რომლებიც ეხებიან ტრამვაის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირს.

○ ტფილისის გაზეთებში გაკრული იყო მოხსენებული, რომ მედიცინა-სანიტარული ბიუროს კონტროლიორი მ. გ. პოლუმორდვინოვი გაუძარცვეთ ქ. ტფილისში და 68 თასი მან. წაურთმევიათ. ვინაიდან ყველა ჩვენ ნაცნობები პირადათ თუ წერილობით შეიტყობენ მე ხომ არ ვარ გაძარცული, გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ, რომ მე ვისთვეს არ ყოფილვარ მედიცინა-სანიტარული ბიუროს კონტროლიორად, მაგრდენ ფული არასოდეს არა მქონდა და არც არასოდეს ვიმყოფ გაუძარცვიენ. ი.ვ. ტიმ. პოლუმორდვინოვი.

განცხადებები

ძმები ი. კ. აბაკელია

შინაბანი ავადმყოფობა.

განსაკეთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების ბაკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოკლობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ შეძლებისა სასტიკ ლაბორატორიაში და მალორატის. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა სალამის 4½—6 საათამდე.

ჰეტერ დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86. № 719.

სოფელ აკეთის მცხოვრები პლატონ ირაკლის ძე ტუღუში ეცხადებს, რომ მან დაკარგა 1) პირადობის მოწმობა, მიცემული იგნატის ტბაში კომენდატისაგან, რომ ის იყო იკარის კომენდანტის თანაშემწე, 2) სათადარიგო ჯარის პრაპორშჩიკის მოწმობა მიღებული პოლკ. ჩხეიძისაგან 1918 წ. მარიამობისთვეს; 3) იმავე პოლკ. ჩხეიძისაგან მიღებული მოწმობა, რომ პრ. ტუღუში მისაღები აქვს ქუთაისის ხაზინიდან ფული (ჯამი არ არის წარჩენილი); 4) პირადობის მოწმობა მიღებული აქვთის საზოგადოების კომისრიდან 22 ქრისტეშობისთვეს 1918 წ. და სხვა ქაღალდები. ყველა ზემო აღნიშნული დოკუმენტები გაუქმებულათ ჩაითვლება დღიდან განცხადებისა. 111 3—1

1918 წ. 29 დეკემბერს დაკარგა იოსებ ნიკოლოზის ძე ბიტარიშვილის სახელზე მიცემული ვიაიე უბნის კომისარიატიდან პასპორტი და დროებითი სამხედრო ბეგვირიდან განთავისუფლების მარათი, რაც გაუქმებულათ ჩაითვლება დღიდან განცხადებისა. 90 3—1

ფოტიენ გიტას ასული თავართქილაძე უპორჩილესით სთხოვს იმ პირს, რომელმაც 17 იანვარს ქ. ტფილისის სადგურიდან გაიტანა დიდი ჩემოდანი და მოწმობა დაეპრუნოს პატრონს. მხოლოდ პატარა ჩემოდანი წამოეთხოვა. მიმდებარე მისამართით: ბებუშოვის ქუჩა, № 46, მინი 3, ოისთვისაც მიიღებს ქორ. ჯილდოს. 91 2—1

მეღლტინა ივანეს ასული სარაჯიშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა მოწმობა № 711 სალიკვიდაციო ფულის მიღების, ქალაქი ისტატიტის დახურვის გამო, მიღებული 5 დეკემბერს 1918 წ. გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 85 3—1

სტეფანე ივანეს-ძე ბაბანასოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული 1904 წ. დეკემბრის 31-ს უფროსი ნოტარიუსის მიერ. რეესტრი № 2691. 7 3—1

ანდრია გურიას ძე სამარინი აცხადებს, რომ მან დაკარგა უცაღო პასპორტი, მიღებული ტფილისის პოლიციესტატის სამმართველოდან 1907 წ. ივლისის 19-ს № 7629, ორი ტალონი და ასიგნოვკა, მიღებული ქ. ტფილისის 3ე-4 მომრაგ. გზე. მოსამართლისაგან. ტალონებით და ასიგნოვკით უნდა მიეღო მან 117 მან. დოკუმენტები გაუქმებულათ ითვლება. 3—1 6

16 იანვარს ბოროტ-გამხადელებმა სადგურს რეა სათზე ივანე აკოფკანოვის ძე პატრატურეს სიკედილის დამუქების შემდეგ წაართვეს: პალტო, ვერცხლის სათი ორმო, ძენკვი და საფული, რომელშიდაც იყო ფული 200 მანეთი და 4.300 მანეთის ვექსელები, უცაღო პასპორტი, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების ბარათი და სხვი ხელშეკრულება, რომელნიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 86 3—1

ტფილისის რკინის გზის უმაღლეს პირველ დაწესებით სასწაღდებლის მასწავლებელი იიმ გრიგოლის ძე ონისთერი აცხადებს, რომ მან 5 თებერვის 1919 წ. ქალაქ სამტრედიაში დაკარგა თავისი პასპორტი, რომელიც მას ჰქონდა მიღებული ტფილისის ნიკოლოზის სამხედრო სასწავლებლის ინსპექტორისაგან ი. ს. პოსტის ხელ მოწერით. 88 3—1

ივანე ოთხების ძე მელქიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულათ. 69. 3—2

დაკარგულია ტფილისის პირველ კურთხლიმპარაკის კვიტანცია № 66688, 55 მანეთისა, ანა სულუხანოვის სახელზე მიცემული, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 67 8—2

მე მელტონ პაპაჟი ამით ვაცხადებ, რომ მეორედ ჩაინის ინსპექციაში დავკარგე ბტეტიტი ფოთის უმაღლეს პირველდაწესებითი სასწავლებლის დამთავრების. გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 83. 3—2

16 იანვარს გოლოვინის პროსპექტზე სასახლის ახლოს, დაკარგე საფული, რომელშიც იყო შემდეგი ნივთები: 1) 100 მანეთი ფული. 2. ოქროსთვალება ბეჭედი, 3. ოქროს ჯვარი, პატარა თიეის ჯაჭვით. 4. პატარა მაგრატელი და მოწმობები მიცემული ჯვაშნიან მატარებლების შტაბიდან და სხვა საბუთები. ვთხოვთ მნახველს იქნიროთ მოქალაქობრივობა და ეს ნივთები დამიბრუნონ, რაშიც ჯილდოთ მიიღებენ ის ბ. ვინც, რომელიც საფულეში იყო. მისამართი: ჯვაშნიან მატარებლების შტაბი. სადგურს უკან—მიხაკო თოხაძე. 68 3—2

დავით ივანეს ძე ფიშაკიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა ატესტატი მიიმუშაო სახელმწიფო სასწავლებლის კანცელარიიდან, პასპორტი და მეტრიკული მოწმობა, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 80 3—2

ბაგრატ ბასანტრის ძე ჯორთანელი ამით ცხადებს, რომ მან დაკარგა მეტრიკული მოწმობა ტფილისის სომეხთა კონსისტორიისაგან მიღებული. ამ დოკუმენტის მნახველნი ვალდებულნი არიან წარმოგვიდინონ აღნიშნული საბუთი ქალაქის მილიციის სამმართველოში. 3—3—63.

ივანიეის პარკას მუშა არჩილ ლომპაძიც აცხადებს, რომ მან დაკარგა ბაჭრის მარათი, მეტრიკული მოწმობა აღებული 1916 წელს და 203 მანეთი. მპოვნელს სახოვნე ფული დაიტიგოს, სპეირო ქალაქდგან კი ვეძებ-ნებით შემდეგი მისამართით: დიდების ქუჩა, № 6 არანიშიძეს სახლი, ივანიეის პარკას მუშა ლომპაძისა. 3—2

სახელმწიფო ბანკის ტფილისის კონტორა აცხადებს, რომ იქ შენახული თანხის ხელწერილი № 49886, რომელიც მიცემული იყო ულიანოვაზე, დაკარგულია და თუ ის არ წარმოდგინებს მასზე კონტორაში ორი კვირის განმავლობაში ამ განცხადების დამუქდებიდან, ის გაუქმებულად ჩაითვლება და მის მაგიერ მოიცემა ულიანოვას. 21 3—2

ზაქარია ზურაბის ძე ზუბიაშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა ნოტარიუს ტურკოფსკოვან მიღებული ნასყიდობის სიგელი, რომელშიდაც იხსენიებულია, რომ ზუბიაშვილმა იყიდა მელოლეთგებიდან სოფ. ჭალებში მამულები სახელობრ „ცელთაქალო“ და „ქაკალის მიწა“.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტის მპოვნელმა, უნდა წარუდგინოს ეს დოკუმენტი მიღიციის მართველობაში. 79 3—2

მ. მ. ქასპაროვი აცხადებს, რომ მან დაკარგა ქვითარი № 980 აქციონერთა სახოგადოების „ფენიქსი“ სამრნეის კომისიაში მიცემის შესახებ. გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 82 3—2

ტტიფანე ლიაშენინი აცხადებს, რომ მან დაკარგა უცაღო პასპორტი, მიღებული ტფილისის პოლიციის უფროსიდან. პასპორტი გაუქმებულად ითვლება. 84 3—2

ტფილისის ოკლის სასამართლომ 1918 წ. 15/20 მარტის დადგენილებით „დამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ნატალია ოქროს ასულის თეირაძისა. 1—1—1348

ტფილისის ოკლის სასამართლომ 1918 წ. ივლისს 27-ს დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი პაული გაბრიელის ძე საკოკოისა. 1—1—1299

ტფილისის ოკლის სასამართლომ 1918 წ. ოქტომბრის 2-ს დადგენილებით დაამტკიცა შინაური ანდერძი ავგორ პლატონის ძე გუჩუღეისა. 1—1—1298

ტფილისის ოკლის სასამართლომ 1918 წ. თებერვლის 9-ს დადგენილებით დაამტკიცა შინაური ანდერძი პეტრე ნიკოლოზის ძე ალიხანაშვილისა. 1—1—1297

საქართველოს სომეხთა კონსისტორია ეძებს, როგორც აკოფის ასულს ტერ-ზაქარიანცს, მის მკართან ზებერი ტერ-ზაქარიანცის ქალ-ქორწინების შესახებ. 1—1—1234

სოხუმის ოკრის სასამართლომ 1918 წ. დეკემბრის 2-ს დადგენილებით დამტკიცა ნოტარიალური ანდერძი დიომიდე საყვარელის ძე გეგიაძის მარინე სიმონის ასულის ნათქვამის შესახებ. 1333. 1—1.

სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე 1918 წ. დეკემბრის 5 დადგენილებით, სახლ. სამ. საქ. წარმ. მე-1401 მუხ. თანხმობაზე, ქმებენ ქ. სოხუმის მცხოვრებს მიხეილ ლომჯარიას, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-288 მუხ. თანახმად. ყველა, ვინც იცის, სად იმყოფება ლომჯარია, ვალდებულია განუცხადოს სოხუმის მომრიგებელ მოსამართლეს. 1320. 1—1.

სენაკის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე სამ. საქ. წარმ. წესად მე-1401 მუხ. თანახმად იწვევს მელიტონ ფადეის ძე ხუთას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთ უფლება ქონაზე სამ. კან. კრებ. 1241 მუხ. თანახმად. 1336 1—1

სენაკის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე სამ. საქ. წესად მე-1401 მუხ. თანახმად, იწვევს ბატონ ალექსანდრე სიმონის ძე ცაბარაგას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთ უფლება ქონაზე სამ. კან. კრებ. X ტ. 1241 მუხ. თანახმად. 1—1—1135

სენაკის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე სამ. კან. კრებ. მე-1401 მუხ. თანახმად იწვევს ბატონ ალექსანდრე სიმონის ძე ცაბარაგას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთ უფლება ქონაზე სამ. კან. კრებ. 1241 მუხ. თანახმად. 1—1—1136

სახლ. სამ. საქმეთა წარმოების მე-846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ სოფელ კულაშის, ქუთ. გუბ. მცხოვრებს ყლიშაკ იოსების ძე თურქიაშელს, რომელიც ღალატით ცხოვრობდა ქ. ტფილისში პოლიციის და ტრაიციის ქ. ეკატერინის № 10/1, მე-3 უბანში, და რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-3-4 ნაწ. 1180-ე მუხ. ძალით.

ნიშნები: შუათანა ტანის, ბობრი თმა, წვერიანი, თმაში თეთრი ღერები. განსაკუთრებული ნიშნები არ აქვს.

ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს თურქიაშელი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს, დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი მპოვნელი, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეიტანონ სათქვენო სამმართველოში. 1—1—1349

სახლ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით, ეძებენ ოსმანთ ქვეშეფლობს შუშანია ასპარ ქიხა გარეგინოვას, რომელიც ცხოვრობდა ქ. ტფილისში და რომელსაც ბრალი ედება მე-3 ნაწ 1655 მუხ. ძალით. ნიშნები: 20-22 წლისაა, შუათანაზე დაბალი, შავგრემანი, შავ თვალებიანი, სუფთა პირის სახე, შავი თმა მოკლედ შეკეცილი აქვს.

ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს შუშანია ოსმარ ქიხა გარეგინოვა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი მპოვნელი, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეიტანონ სომეხთა სამმართველოში. 1350 1—1

სახლ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით სოხუმის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ ს. საწულაიძის ქუთ. გუბ. მცხოვრებს ლაგენტი გეგელაძეს, რომელსაც ბრალი ედება კანონით დებ. 13 და 3 ნაწ. 1655 მუხ. თანახმად.

ნიშნები: 17 წლის, შუათანაზე დაბალი, სუფთა პირის სახე, მეჭი ქერა თმა, ცხელი სამწილა, ბარკვენი ხელის მჭარნებელი თითი გვრილი აქვს.

ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს გველესანი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება. გველესანის ქონება, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეიტანონ სამმართველოში. 1403 1—1

სტამბა სჯართველოს მთავრობისა. რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე